

# სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის

ბრძანება №3

2011 წლის 10 თებერვალი

ქ. თბილისი

## კონკურსის მეშვეობით საპროექტო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის პირობებისა და წესის დამტკიცების თაობაზე

„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის 10<sup>2</sup> მუხლის მე-2 პუნქტისა და 24-ე მუხლის მე-10 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, ვბრძანებ:

1. დამტკიცდეს თანდართული „კონკურსის მეშვეობით საპროექტო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის პირობები და წესი“.
2. ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

### ტ. ურჯუმელაშვილი

#### შეტანილი ცვლილებები:

1. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 8 ივლისის ბრძანება №17 - ვებგვერდი, 11.07.2011 წ.
2. კონკურენციისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2012 წლის 16 მარტის ბრძანება №2 - ვებგვერდი, 16.03.2012 წ.
3. ძალადაკარგულია 2015 წლის 1 ივლისიდან - სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 22 მაისის ბრძანება №7 - ვებგვერდი, 25.05.2015 წ.

## კონკურსის მეშვეობით საპროექტო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის პირობები და წესი

### მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. კონკურსის მეშვეობით საპროექტო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის პირობები და წესი (შემდგომში – წესი) შემუშავებულია „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის (შემდგომში – კანონი) 10<sup>2</sup> მუხლის მე-2 პუნქტისა და 24-ე მუხლის მე-10 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის საფუძველზე და განსაზღვრავს კონკურსის ჩატარების სამართლებრივ საფუძვლებს, წესსა და პირობებს.
2. კონკურსის ჩატარების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს შემსყიდველი ორგანიზაცია.

### მუხლი 2. ტერმინთა განმარტებანი

1. ამ წესის მიზნებისთვის მასში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:
  - ა) კონკურსი – ამ წესის მიზნებისთვის, საპროექტო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის ალტერნატიული საშუალება, რომელიც გამოიყენება შემსყიდველის გადაწყვეტილებით;
  - ბ) საკონკურსო პირობები – საკონკურსო განცხადების, შესყიდვის ობიექტისა და კონკურსანტის მიმართ შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ მისივე შეხედულებისამებრ დადგენილი მოთხოვნების ერთობლიობა;
  - გ) საკონკურსო განცხადება – შემსყიდველი ორგანიზაციის განცხადება კონკურსის ჩატარების თაობაზე;
  - დ) კონკურსანტი – პირი, რომელმაც ამ წესის შესაბამისად გადაიხადა კონკურსში მონაწილეობის საფასური და შემსყიდველ ორგანიზაციაში წარადგინა საკონკურსო წინადადება;

ე) საკონკურსო წინადადება – კონკურსში მონაწილეობის მიღების მიზნით კონკურსანტის მიერ შემსყიდველ ორგანიზაციაში წარდგენილი წინადადება;

ვ) საკონკურსო კომისია – კონკურსის ჩატარების მიზნით შემსყიდველი ორგანიზაციის ხელმძღვანელის გადაწყვეტილებით შექმნილი კომისია.

2. წესში გამოყენებულ სხვა ტერმინებს აქვთ იგივე მნიშვნელობა, რაც კანონში.

### **მუხლი 3. ინტერესთა კონფლიქტი**

საკონკურსო წინადადების განხილვასა და კონკურსის მეშვეობით მიმწოდებლის შერჩევაზე ვრცელდება კანონის მე-8 მუხლით გათვალისწინებული ინტერესთა კონფლიქტთან დაკავშირებული დებულებები.

### **მუხლი 4. კონკურსის ჩატარება**

1. შემსყიდველი ორგანიზაციის გადაწყვეტილებით, საპროექტო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვა შესაძლებელია განხორციელდეს კონკურსის საშუალებით.

2. კონკურსის ჩატარებისას უზრუნველყოფილი უნდა იქნეს პროცედურების გამჭვირვალობა და კონკურსანტების მიმართ სამართლიანი და არადისკრიმინაციული მიდგომა.

3. საკონკურსო წინადადების შეფასება და გამარჯვებული კონკურსანტის გამოვლენა ხდება საკონკურსო კომისიის მიერ საკონკურსო პირობებით დადგენილი კრიტერიუმების შესაბამისად, ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული პრინციპების დაცვით.

4. საკონკურსო წინადადების წარდგენის ვადები განისაზღვრება საკონკურსო პირობებით.

5. საკონკურსო პირობებში მოცემული უნდა იყოს მიმწოდებელთან დასადები ხელშეკრულების აუცილებელი პირობები, რომლებსაც ადგენს შემსყიდველი ორგანიზაცია.

6. შემსყიდველ ორგანიზაციას არ აქვს უფლება შეცვალოს საკონკურსო პირობები მას შემდეგ, რაც დაიწყება საკონკურსო წინადადების მიღება.

7. საკონკურსო წინადადება, რომელიც არ შეიცავს ამ წესის მე-6 მუხლით გათვალისწინებულ საფასურის გადახდის დამადასტურებელ შესაბამის დოკუმენტს, არ განიხილება.

8. ამ წესის მე-6 მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული მონაცემების დარღვევით გაცემული დოკუმენტის წარდგენის შემთხვევაში პირის საკონკურსო წინადადება ექვემდებარება დისკვალიფიკაციას.

9. კონკურსის ჩატარებასთან დაკავშირებული ნებისმიერი დოკუმენტი, გარდა ხელშეკრულებისა, დაუყოვნებლივ, გამოქვეყნების მიზნით ეგზავნება კონკურსანტისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს (შემდგომში – სააგენტო) ელექტრონული ფოსტის მისამართზე – [contest@procurement.gov.ge](mailto:contest@procurement.gov.ge). დოკუმენტი სააგენტოში გაგზავნილად ჩაითვლება მხოლოდ სააგენტოს მიერ მისი მიღების დადასტურების შემდეგ, რაც ხორციელდება შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ მითითებული ელექტრონული ფოსტის მისამართზე სააგენტოს მიერ შესაბამისი შეტყობინების გაგზავნის გზით.

10. სააგენტოსათვის ინფორმაციის გაგზავნა უნდა მოხდეს მხოლოდ PDF ფორმატის გამოყენებით.

*სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 8 ივლისის ბრძანება №17 - ვებგვერდი, 11.07.2011 წ.*

*კონკურსისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2012 წლის 16 მარტის ბრძანება №2 - ვებგვერდი, 16.03.2012 წ.*

### **მუხლი 5. საკონკურსო განცხადების გამოქვეყნება**

1. შემსყიდველი ორგანიზაცია საკონკურსო განცხადებას და თანდართულ დოკუმენტებს, მათი არსებობის შემთხვევაში, უგზავნის სააგენტოს მის ოფიციალურ ვებგვერდზე [www.procurement.gov.ge](http://www.procurement.gov.ge) გამოქვეყნების მიზნით.

2. შემსყიდველი ორგანიზაციის საკონკურსო განცხადების გამოქვეყნების ოფიციალური მოთხოვნა და მასზე თანდართული დოკუმენტები, მათი არსებობის შემთხვევაში, დასკანერებული სახით წარედგინება სააგენტოს ელექტრონული ფოსტის [contest@procurement.gov.ge](mailto:contest@procurement.gov.ge) მეშვეობით.

3. საკონკურსო განცხადების გამოქვეყნების ოფიციალურ მოთხოვნას ხელს უნდა აწერდეს შემსყიდველი ორგანიზაციის ხელმძღვანელი ან მის მიერ სათანადოდ უფლებამოსილი პირი.

4. საკონკურსო პირობების შეცვლის შემთხვევაში, ცვლილება ქვეყნდება ამ მუხლის პირველი – მე-3 პუნქტებით დადგენილი წესის შესაბამისად.

5. ამ მუხლის პირველი და მეორე პუნქტების, ასევე ამ წესის მე-4 მუხლის მე-9 და მე-10 პუნქტების შესაბამისად მიღებულ დოკუმენტებს, მათი არსებობის შემთხვევაში, ან/და მათ ცვლილებებს სააგენტო აქვეყნებს თავის ოფიციალურ ვებგვერდზე, დოკუმენტების მიღებიდან არა უგვიანეს მომდევნო სამუშაო დღისა. სააგენტო პასუხისმგებელი არ არის წარმოდგენილი დოკუმენტაციის შინაარსზე და კანონმდებლობასთან შესაბამისობაზე. სააგენტო არ აქვეყნებს ამ მუხლით გათვალისწინებულ დოკუმენტაციას, თუ იგი არ შეესაბამება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნებს, ასეთ შემთხვევებში დოკუმენტაცია შემსყიდველ ორგანიზაციას უკან უბრუნდება.

6. საკონკურსო განცხადებას სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდზე გამოქვეყნებისთანავე ენიჭება უნიკალური ნომერი.

*სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 8 ივლისის ბრძანება №17 - ვებგვერდი, 11.07.2011 წ.*

### **მუხლი 6. კონკურსში მონაწილეობის საფასური**

1. საკონკურსო წინადადების წარდგენისთვის პირი იხდის საფასურს კანონის 19<sup>1</sup> მუხლის პირველი პუნქტით დადგენილი ოდენობით. საფასური გადაიხდება სააგენტოს ანგარიშზე, რომელიც მითითებულია სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდზე ([www.procurement.gov.ge](http://www.procurement.gov.ge)).

2. საფასურის გადახდის დამადასტურებელ დოკუმენტში მითითებული უნდა იყოს:

ა) გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტის უნიკალური ნომერი და გადახდის თარიღი;

ბ) შემსყიდველი ორგანიზაციის დასახელება და საიდენტიფიკაციო კოდი;

გ) კონკურსანტის დასახელება და საიდენტიფიკაციო კოდი;

დ) საკონკურსო განცხადების სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდზე გამოქვეყნების შედეგად განცხადებისთვის მინიჭებული უნიკალური ნომერი.

### **მუხლი 7. კონკურსის გასაჩივრება**

1. კონკურსანტს სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების დადებამდე შეუძლია გასაჩივროს შემსყიდველი ორგანიზაციის ან საკონკურსო კომისიის ქმედება შემსყიდველ ორგანიზაციაში ან სააგენტოში შესყიდვებთან დაკავშირებული დავების განხილვის საბჭოში, თუ მიაჩნია, რომ კონკურსის ჩატარებისას დაირღვა კანონით და შესაბამისი ნორმატიული აქტებით დადგენილი წესები ან/და შეილახა მისი უფლებები.

2. კონკურსის თავისებურებათა გათვალისწინებით, კონკურსთან დაკავშირებული დავის განხილვა ხდება „სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოში შესყიდვებთან დაკავშირებული დავების განხილვის საბჭოს საქმიანობის წესის შესახებ“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2010 წლის 30 ნოემბრის №11 ბრძანების შესაბამისად.